| # | თემა | საკითხების ჩამონთვალი | კავშირი სასწავლო გეგმასთან | რესურსები | საგაკვეთილო საათების რაოდენობა | შემაჯამებელი დავალება | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | **შემაჯამებელი დავალების ფორმა** | **შეფასების კრიტერიუმები შემაჯამებელი დავალებისთვის** |
| 2 | დედა, მშობლიური გარემო | იავნანამ რა ჰქმნა?!<br>იავნანა;<br>ჩვენი ქართული – სიტყვაქარგული;<br>ჩემი თავგადასავალი;<br>დედა;<br>დედას.<br><br>**ენის სამყაროში**<br>სინონიმთა შერჩევა;<br>სინონიმთა შერწყმა;<br>ანტონიმები;<br>სიტყვათა წარმოქმნა;<br>რთული სიტყვების მართლწერა; | ქართ.V. 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12 | "ქართული ენა და ლიტერატურა", V კლასი, სახელმძღვანელო;<br>მოსწავლის რვეული (ავტორები: ვახტანგ როდონაია, ავთანდილ არაბული, ნინო ნაკუდაშვილი, მარინე ხუციშვილი, გამომცემლობა ,,სწავლანი“)<br><br>დამხმარე მასალა:<br>პროექტორი;<br>ნოუთბუქი;<br>ფოტო, აუდიო–ვიდეომასალები.<br><br>დამატებითი ლიტერატურა:<br>გ.ლეონიძე ,,ნატვრის ხე“, ლექსები | 30 საათი | თხრობითი ტექსტის მოკლე შინაარსის წერილობით გადმოცემა<br><br>ენობრივ–გრამატიკული მასალის შეჯამება. (ტესტი დახურული და ღია ბოლოიანი კითხვებით)<br><br>ინტეგრირებული გაკვეთილი სასწავლო დისციპლინებთან: ჩვენი საქართველო მუსიკა; გაკვეთილის თემა: ,,იავნანამ რა ჰქმნა“ | ნაშრომი ფასდება განმსაზღვრელი შეფასებით:<br>ნაშრომში დაცულია თხრობითი ტექსტისთვის დამახასიათებელი სტრუქტურული ელემენტები; გამოყენებულია მდიდარი ლექსიკური მარაგი; ტექსტი გამართულია აზრობრივი და სინტაქსური თვალსაზრისით; სწორადაა დასმული სასვენი ნიშნები.<br><br>ნაშრომი ფასდება განმსაზღვრელი შეფასებით:<br>მოსწავლე სხვადასხვა სირთულის საკითხების განხილვისას, მოდელის მიხედვით, მართებულად იყენებს ენობრივად სწორ, დასაშვებ და შესაძლებელ ფორმებს; განარჩევს სწორ და არასწორ პასუხს; მიღებული ცოდნის საფუძველზე ადეკვატურად პასუხობს კითხვებს. იყენებს წინარე ცოდნას სხვადასხვა კონტექსტში.<br><br>აქტივობის შეფასებისას გამოიყენება განმავითარებელი კომენტარი: მოსწავლეს შეუძლია შესწავლილი მრავალმხრივი განხილვა სხვა სასწავლო დისციპლინებთან ინტეგრირების გზით; აქტიურად ერთვება საგაკვეთილო პროცესში, უსმენს /აანალიზებს გაკვეთილის საინფორმაციო ნაწილს და აკავშირებს შესწავლილ ტექსტში არსებულ თემატურ მასალასთან; აჯამებს მიღებულ ცოდნას: სვამს და პასუხობს კითხვებს, გამოთქვამს ვარაუდს; ყურადღებას ამახვილებს თემატურ დეტალებზე, შეუძლია ორი განსხვავებული კულტურის შედარება და მსგავსება–განსხვავების დაფიქსირება; სპეციფიური ფორმის ფოლკლორული მუსიკალური ნაწარმოების სხვებისგან გამორჩევა და მისი დანიშნულების გააზრება. |